

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 34

2020



მთ. რედაქტორი

ნიკო ხერხელაძე

მხატვარი, მწერალი, საქართველოს მწერალობა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-841-0 (34 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არენისგის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მეცნიერის, ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეო მეცნიერობის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).



პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თვეულს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭალლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდათოტომეული ზავითითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ძვეშის ბასაბონად ხბამაბალლა გაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე ჭუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემბა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თაბისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომეული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს იცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდლული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვეშის, არც ერთი კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ძვეშის ბაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიშ-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიმნიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრედოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძლვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება ღვრამილის ისტორია“.

გულეაზ ხარაიშვილი
კოემბი, ბალაპტიონ ტაბიძის არევის ლაურიატი,
ჯემბერ ლექაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არაზიდენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

ისტორიულად აღმოცენებული ეროვნული კულტურა, ამქვეყნიური კეთილდღეობა სამშობლო ქვეყნისა, თავისებურება აზროვნებაში, რწმენაში და გარეგნულ არსებობაში – აი ის განძი, რომლის დასაცავად იბრძვის ცოტნე დადიანი. მისთვის ინდივიდუალური უკვდავება არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის სულიერი შემოქმედების ნაყოფი რეალურ ძალად რჩება მომავალი თაობების ხსოვნაში, ხელს უწყობს მათ წინსვლას ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

სამშობლო მიწის უსაზღვრო სიყვარული, ეროვნული გზების, ქართველ ერის მთლიანობის იდეა და მშობელი ერის თვითშეგნების გამოღვიძებაა ვაჟა ეგრისელის ლირიკის უმთავრესი მიზანი.



ვაჟა ეგრისელს კარგად ესმის, რომ წარსულის შეუგნებლად შეუძლებელია შეგნება მომავლისა. რა მართებულად მიუთითებდა გერონტი ქიქოძე, როცა წერდა: „უკვდავი ხელოვნება სპობს საზღვრებს საუკუნეთა შორის, გენიოსის მიერ შექმნილ ნაწარმოებს კაცობრიობა მუდმივ თანამგზავრად ხდის, საწუთოების მარადისობას უახლოებს და ამით აკმაყოფილებს ადამიანის მეორე ინსტიქტურ და ელემენტარულ მოთხოვნილებას – ლტოლვას უკვდავებისადმი“.

*

ცა იღრუბლება ჩემი წუხილით,
ვზივარ ცივ ქვაზე
და არავის არ ველოდები.
არც მეციხოვნეს, ადარც ლაშქარს
და არც ქვითხუროს.
მე ეხლა მხოლოდ
მომხდურისაგან
ნატყორცნ დღიდებით
ქართლის ავბედით წარსულს ვკითხულობ“.

ამ ლექსის წაკითხისას ძალუმად გვეზმანება გმირ წინაპართა სხივნათელი სახეები და თითქოს ვხედავთ საამაყო წინაპრების სულთა შუქმოელვარე ალს, ქვეყნის ნაღვერდალით აგიზგიზებულ გულებს.



გვწამს და გვჯერა, რომ ადამიანის ღირსების წყაროა მამულიშვილობა.

ვაჟა ეგრისელის მიერ ცოტნესადმი მიძღვნილი ლექსების უმთავრესი პათოსი სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ ჩვენი ხალხისათვის ამ უმძიმეს ეპოქაში აღმოაჩინოს პოეტმა მისაბაძი მაგალითები, მარადისობით აღბეჭდილი ის თვისებები, რაც ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანებს. ამით აიხსნება „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის განსაკუთრებული დაინტერესება ცოტნე დადიანის პიროვნებით.

ვაჟა ეგრისელის მიერ დახატულ ცოტნეს სახე-ში მძლავრად დვივის ერთიანი საქართველოს სულისკვეთება, ჩვენი ისტორიის ღრმად შემეცნების აუცილებლობა და მისი ადგილი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

ვაჟა ეგრისლის პოეზიისათვის დამახასიათებელია უდიდესი ვაჟაპური სული და გმირობის აპოლოგია:

*

„გადაიქროლებს წარსულის ლანდი
და გამოაჩენს სისხლიან კლანჭებს,
წარბებს შეიკრავს და მოიწყენს
გრემი და ოშკი



და გააყოლებს ომის კვამლით დანისლულ თვალებს.

შენ კი მამულო! სიყვარულის ცათამწვდენ ქოშ-ქში

გყავარ და...

წამით არ მიშვებ გარეთ“.

ამ ლექსში მთელი სისრულით ცხადდება ვაჟა ეგრისელის გასაოცარი ნიჭი და პოეტური პერცეპციის მასშტაბი, რომელსაც იგი მთელი სიძლიერით ავლენს სამშობლოს წარსულისა და გმირი წინაპრებისადმი მიძღვნილ ლირიკულ ქმნილებებში.

*

„ლეგენდებით და მზით

შემოსილი,
გაჰყვება მღვრიე ათასწლეულებს,
რწმენის ამარა, ვითარცა ქრისტე.
როს ძმათა თვისთა
სატანჯველად გვემა სხეული,
სული მაშინვე გაფრინდა ცისკენ“.

მწეველი ცეცხლის მგზნებარება შემოგვნათებს ამ სტრიქონებში, რომელებიც ჩვენი დიდი წარსულის შაგბნელი, მაგრამ დიდი სურათის გახსენებაა. პოეტმა კარგად იცის იმ შინაგანი, იდუმალი პათოსის



ცეცხლოვანი მგზებარების ძალა, რაც მას თავის-თვის აქვს გადამალული სულის ფსკერში. სამშობლოს სიყვარულის ცეცხლით დანოუბულ კოცონზე იწვის ცოტნე ძმათა სიცოცხლისათვის თავგანწირული კოლხი ჭაბუკი, მუდამ წელში გამართული და ქედუხრელი მამულიშვილი, რომელიც გაუტეხელი ქართული სულის ხორცშესხმული სახეა და სიმბოლო.

პოეტი ვაჟა ეგრისელი იმ შემაძრწუნებელ XIII საუკუნეში ამაღლებს თავის გმირს და ჩვენც გვჯერა და გვწამს, რომ ცოტნეს სიკვდილი ცხოვრების დასასრულის ლამაზი წუთია. ლამაზი ცხოვრება ერთი გაელვებაა, მაგრამ ვინც ამ ცხოვრებაში ლამაზად და შინაარსიანად კვდება, პირნათლად მიდის უფალთან. პოეტისათვის ისევ ცოცხლობს ცოტნენათელია პოეტის რწმენა და ჩვენთვისაც გადამდებია ეს უქრობი შუქი გმირი ჭაბუკი სიცოცხლის უკვდავებისა. „ცოტნეს „ცა“ ლექსის უძლიერესი კომპონენტია. უნებურად გრიგოლ აბაშიძე გამახსენდა: „ქამთაადმწერელმა ცოტნეს ცხოვრებისა და მოწოდების აზრის განხორციელებისათვის უმაღლესსა და უმშვენიერესს მწვერვალს მიაღწია.

ვაჟა ეგრისელისათვის ცოტნეს სახე საქართველოს ტკივილიანი წარსულია, მოურჩენელი, განუკურნებელი, გაჯერებული სევდით, დარდით, მაგრამ



სხივჩამდგარიც, ამაღლებული, ზეციური, ღვთიური
ნათლით გაბრწყინებული.

პოეტი ეტრფის საქართველოს, მზადაა ცოტნე-
სათვის თაკარა მზეს მიუშვიროს გულ-მკერდი. პოე-
ტის ტრფობის ობიექტი ერთია და განუმეორებელი,
რომელიც არავის არ ჰგავს და არც დაემგვანება. პო-
ეტის სიყვარულს არც დასაწყისი აქვს და არც და-
სასრული:

*

„მკერდზე დავინთო შენი ზაფხული,
ვითა მზის გულზე
მდგარმა მოცხარმა.

რადგან შენი ვარ...
შენში ვცხოვრობ,
შენით ვიწყები.

მეც ცოტნესავით, სანამ ცოცხალ ვარ,
მამულო ჩემო!
შენს სიყვარულს მივეფიცხები“.

როცა ეს სტრიოქნები წავიკითხე, თვალწინ და-
მიდგა ილიას აჩრდილივით საქართველოს ხნის პოე-
ტი. ამ ლექსში პოეტმა უხვად, მთელი სიმძაფრით
გადმოაფრქვია სულის უჭქნობი სილამაზე, ტალანტი,
რეალიზებული სულიერება. მხოლოდ სამშობლოს
სიყვარულია სათავე და ბიძგი იმ მომაჯადოებელი



მეტაფორებისა, რომლებშიც შედედებული სისხლი-
ვით იკვრება სინამდვილე. მის ფიქრებში მამული-
სათვის თავგანწირული გმირის უკვდავებაზე შეთავ-
სებულია სევდისა და სიხარულის, ღელვისა და ალ-
მაფრენის, სიმშვიდის წინააღმდეგობანი. პოეტის
რწმენით მხოლოდ სიყვარულში, მოყვასისადმი უერ-
თგულეს თავგანწირვასა და თავგამოდებაშია სი-
ცოცხლის უკვდავება. ცოტნე დადიანისეულ სიკეთეს
აფრქვევს პოეტი ლექსში „ფოთში“:

„თვალი მოკარი როდესაც
წმინდანის ტაძრის ბალავარს,
სსოვნამ უეცრად გაკვესა
წარსულში და მე ანისთან
მომესმა ოხვრა და კვნესა
და...
ცოტნე ჯერ იქ არ ჩანდა,
იდგა წყვდიადი დამისა,
მხოლოდ ისმოდა ფლოქვთა ხმა
დათრგუნვად კვლავ სატანისა.“

აქაა დამის წყვდიადისა და ცოტნეს ცხენის
ფლოქვების ხმის დაუსრულებელი ჭიდილის მძაფრი
მოლოდინი. საბოლოო ჯამში ფლოქვთა ხმა მაინც
ცოტნეს კონტექსტში მოიაზრება, რომლის გამოჩე-
ნით ითრგუნება სატანა. იმარჯვებს ნათელი. ვაჟა



ეგრისელის პოეზია მრავალასოციაციურია. განსაკუთრებული სიფაქიზით, მძაფრი აღტკინებითა და გმირული სულისკვეთებით შემოდის პოეზის არსებაში ცოტნე. ვკითხულობთ პოეზის ლექსებს და თითქოს ცხადად გგრძნობთ, თუ როგორ ედება დამენათვად თბილი, ტკბილი ჟრულა პოეტს და ცოტნეც ბურანში, ზმანებაში ნახული არწივის ფრთებით მისწრაფვის თვალითურვდომელი სიმაღლისაკენ. სწორედ აქაა პოეზის რწმენით სიცოცხლის მარადიული წყურვილი და სამშობლოს სიყვარულის გადამრჩენი ძალა, ამ ლამაზ, მიგნებულ და ტევად ფრაზაში „მხარზე მჯდარი ბედისწერის ლეგა არწივი“ რომ ითავსებს, ნათლად გამოსჭვივის სამშობლოსათვის თავშეწირული ჭაბუკის უცილო ხვედრი, მარადიული უკვდავება:

*

„სურთ, რომ დმერთებმა გაიტაცონ
ვით განიმედე,
პონგოს მწუხარე ზღვაში ნარწევი,
რადგან ქართველთა ის არს იმედი,
რადგან ქცეულა საქართველო –
შურის მეწყერად.

ვჭვრებ –

მხარზე მჯდარი ბედისწერის
ლეგა არწივი,



მარადისობის მაღალ ცისკენ
როგორ ეწევა“.

(„ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში,
სამეგრელოს მოედანზე).

ლექსი ეძღვნება მონუმენტური ხელოვნების დი-
დოსტატებს – მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს, არქი-
ტექტორ ვახტანგ დავითაიას და ფაზისის მეცნიერე-
ბათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტს ნუგზარ ნადარაი-
ას. რომლის ინიციატივითა და ძალისხმევით 750
წლის ლოდინის შემდეგ მოევლინა სრულიად საქარ-
თველოს ეროვნული გმირის, ამჟამად უკვე წმინდა-
ნად შერაცხეული ცოტნე დადიანის სახება.

ცოტნეს სახე ვაჟა ეგრისელის პოეზიაში განსა-
კუთრებული და ორიგინალური ფენომენია. პოეტს
საქართველოს ისტორიული წარსულის სურათების
უტყუარი შეგრძნება აქვს, ტრაგედია თუ ტკივილი,
ნაღვლიანი ისტორია მამულისა ავსებს და სრულ-
ყოფს მის სიცოცხლეს, რომელსაც დრმად სწამს,
რომ მიზანი, მიზანსწრაფვა და გმირული სული ინ-
ტელექტით გაჯერებული ამართლებს მის არსებობას.
პოეტი თავისწირვით, უდრტვინველად მოქმედების,
დიადი მიზნისათვის ბრძოლის წყურვილითა და მა-
რადისობისაკენ სწრაფვის სურვილით მუხტავს თანა-



მემამულეებს. ამ მხრივ უთუოდ ნიშანდობლივია ეს
ლექსი.

ვაჟა გგრისელის მიერ ცოტნესადმი მიძღვნილ
ლექსებში განუწყვეტლივ გაისმის სამშობლო ქვეუ-
ნის წარსულის, აწმუოსა და მომავლის სიყვარულზე
ხმამაღალი ყეფა და ყივილი. პოეტი ჩვენი ქვეუნის
გულმართალი მესიტყვეა, სამშობლოს ბედნიერები-
სათვის თავგანწირული მებრძოლი, მისი ჭირისუფა-
ლი, რამეთუ:

*

„სამშობლოსათვის თავდადებულთა
ხსოვნის დღეები
იმედს კვესავენ,
მათი გულისთქმა მესმის გმირული.
მეც კოლხი ვარ და
მეც ცოტნესავით,
ჩემი სამშობლოს სიყვარულში
ვარ ჩაკირული“.

პოეტს დრმად სწამს, რომ ერი, რომელსაც ცოტ-
ნებს მსგავსი გმირები ჰყავს, არასოდეს გადაშენდება.

ჩვენი სინამდვილის რწმენით აღსაგესე პოეტი
სხვათა გონებაშიც ცდილობს უტეხი ნების, სიმტკი-
ცის და სათხოების ჩანერგვას, ცოტნეს სულის ამზე-
ვებას:



*

„ვითარც ერთ დროს თათარმა და ოსმალომ,
შენმა „დფიძლმა“ ქართველებმა
დაგვებეს
და გაგთელეს სიძულვილის ფლოქვებით.
ჩემო!

შენში,
ცოტნეს სული ბობოქრობს
და ვერასდროს ვეღარ დაგაწოქებენ“.

(„სამეგრელოს მესამე დალაშქრა“)

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ სამშობლოს სიყ-
ვარულის თემა, რამდენადაც არ უნდა წერდეს მასზე
პოეტი, არასოდეს არ დაკარგავს ორიგინალობას,
როცა ვკითხულობ ლექსს „როდესაც ქ. ფოთში
(მალთაფვაში) ვდებდით წმინდა ცოტნეს ტაძრის ბა-
ლაგარს“, ვგრძნობთ შემოქმედის ფანტასტიკურ შე-
საძლებლობებს. თითოეული სტრიქონი დაყურსულია
აზრით და თან ახლავს დიდი მოქალაქეობრივი შე-
მართება:

*

„დმერთს და განგებას ვთხოვდით შეწევნას –
ლოცვა-კურთხევით
დამენათევი



მრევლი და ყველა უფლის მსახური.

უცებ იელვა...

და წმინდანის ტაძრის ბალავარს
თავზე დაადგა უფლის ნათელი,

გითარცა მადლი –

ცისარტყელად გამოსახული“.

ცოტნეს ბედაურის ნალით ჩამოშლილი კლდის
ნარღვევით მოედინება პოეზიის ქარგაზე აჭრილი
სტრიქონები...

ამ დიდ ეროვნულ საზრუნავშიც წარმმართვე-
ლია პოეტის ინიციატივა, შემართება და პრინციპი.
გაბედული და შთამბეჭდავია ეს სტრიქონები. ფი-
ნალში გამჟღავნებული ავტორის მრწამსი გაცილე-
ბით უფრო ამამაღლებელია და სულის განმასპერა-
კებელი, რამეთუ ლექსში დანთებულ, დაგზებული
სახმელი წვავს, მაგრამ არ ნაცრავს, არც ფერფლავს
ჩვენს გრძნობას. აქაა ამაღლებული განწყობილებები,
ჩვენი სახელოვანი წარსული და ისტორია. ტრადი-
ცია, დიდ წინაპართა დადადისი და საარაკო გმირო-
ბა... უნებურად გეჩვენება, რომ ყოველივე ზეციურ
სარკეში ჩახედვასა და განწმენდას ჰგავს, რომ ცი-
სარტყელად გამოსახული უფლის ნათელ მთელი
რუდუნებით გვიხმობს ლამაზი ჰოროზონტებისაკენ...

ვაჟა ეგრისელის შემოქმედების ტილოზე ჰარმო-
ნიულად დრმა და ვრცელ სამყაროს ვხედავთ. მისი



პოეზია მისივე გულის ამოძახილია. სიტყვიერი ფერ-წერა მისი პოეზიის უდიდესი ღირსება.

*

„ქარი თიბავს ელვის ცელით
და დგამს ზეინად
ღრუბლის თივას.

მე,

ოცნების –
ცა მოვლილი,
დამეც ფიქრის ტოტზე ვზივარ,
ცალდაკარგულ ოლოლივით“.

*

„სვამს და...
მერე შურით ამღვრევს,
ვინც ბოროტად გულგრილია, –
ღმერთმა ყველა შეიწყალოს.
უფლის ხელით მორთმეული
წყურგილეა,
დვთის მადლია ჩემი წყარო“.

პატრიოტის გულწრფელი აღსარებაა:



*

„ჩემი სამშობლო –

რა მთა,

რა ვეღი,

ზღვა – მოხასხასე ნისლის კრაველით,

ცაზე ვარსკვლააგნი – მესაკუთრენი,

თითქოს „ბოლეროს“ უკრავს

რავალი,

ხმა იხმის ტკბილი და საყვარელი“.

პოეზია ღმერთის სასწაულებრივი მადლია, უზენაესი ჭეშმარიტებაა და აღმაფრენა. პოეტს სჯერა მარადიულობისა:

*

„პირალესილი ხმლით და ქართულით,

ათასლწულებს –

მე ვეომე,

საუბუნები

მე შევძარი.

წინ ვერვინ აღუდგება –

ჩემი ლექსების ლეგიონებს,

გიო სპას ცეზარის“.

პოეტს ნათელი უხმობს, ეძახის პოეზია და ღვთის საუფლოში მოციმციმე მნათო:



*

„დგთის საუფლოში,
უფრო შორს,
სადღაც,
მირიადი ციმციმებს მნათი,
სადაც ვერ აღწევს მოკვდავთა ფიქრი.
მე ვხედავ ცხადად,
მე ვისმენ ნათლად,
ვიდაცა მიხმობს და მელოდება
პლანეტებს იქით“.

ვაჟა ეგრისელი გვარწმუნებს სამშობლოს სიყვარულის მარადიულობაში, ჩვენც გვწვდება პოეტის განცდა. პოეტის რწმენა, რომ მამულისათვის თავგანწირულთა უცილო ხვედრი უკვდავებაა. პოეტის თოთოველი ბწყარი თანამემამულეებს უძლიერესებს განუმეორებელი სიყვარულის გრძნობას:

*

„მე ჩემი დმერთი მყავს საკუთარი,
დმერთი ნამდვილი და სრულყოფილი
და არვის ძალუქს
მასთან გამყაროს.



საქართველოა –
მისი პროფილი,
მისი ანფასი –
მთელი სამყარო“.

პოეტი ეროვნული სულისა და სხეულის ოომან-ტიკული მიჯნურია, მისთვის ნიადაგ ტანჯვისათვის მზადმყოფი, დამაშვრალი და მეხოტბე. მკითხველი აშკარად გრძნობს ლირიკული გმირის გულის ძგე-რას, რომელიც გრძნობით დიდია და ჭკუით მართა-ლი. გვხიბლავს მისი დიდი სულიერი სიმაღლე და ცეცხლოვანი გულის მგზნებარება:

*

„მამულო ჩემო!
მსაჯულებმა –
ჩემმა დღეებმა,
ძველმა დღეებმა, თანაც ახლებმა,
დახვრეტა
და არც გადასახლება,
შენი მუდმივი სიყვარული
მე მომისაჯეს“.

ამ ლექსის მედიტაციურმა მდინარებამ ერთი წრე შემოხაზა, მრავალ წახნაგს ერთ ფოკუსში მოუ-ყარა თავი და ფინალურ აკორდად გაამჟღავნა აზრი




– მარადიული ცვალებადობის მიუხედავად არსებობს დროული მარად მიმყოლი წარმავალობის გრძნობას განრიდებული ძალა, – სამშობლოს სიყვარული...

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – ხახულიშვილი და ფანტაზია
(ფიქრები კაჯა ეგრისელის პოეზიაზე)*

გაგრძელება შემდეგ ტომში





ზაფხა მეგრული

შუაკერასთან ტრიალებს ტყის სული,
შეშა იწვის და
გაუდის გრიალი,
პვამლი ცად მიიწევს...
ვერს კარგავს ნაცარი,
ალი ენას უყოფს,
ნაკვერჩხალი თვალს
აბრიალებს,
ცეცხლი ქალწულივით ტკარცალებს.

1955

საიდანლაც მოვარდნილი,
ქარიშხალი ხელებს უხსნის,
სიმყუდროვის ჭერს
და ერდოს.

მეხს კი უნდა წვიმის ლურსმნით

(ვა —

მიწაზე დააჭედოს.

1963



ვინც ამიოხერა მამული,
სარზე დაპკიდა
თავები,
არაგვისა და ივრისპირს,
სწორედ,
ომ სიკვდილს დავეძებ,
შებმა მწადია პირისპირ!

1994



მსებუას განსენება

(ხუმრობით)

ლექსები მაქვს კუნთმაგარი,
დრომ დაუსვა მას ბეჭედი,
დააჭიდეთ,
ფალავანი ლექსი თუა,
ვერ დასცემენ მას ბეჭებზე,
როგორც ნესტორ ესებუას.

1995



მეხის ძახილმა შეარყია

ცა და ხმელეთი,

ადიდებული ელვის მდინარე

ვერ შეაკავა წვიმის მესერმა.

ღელვით და რყევით

ზღვა

გულწასული –

ქარის მკლავებზე მიესვენა.

1987



ପରିଚୟ

ମିଶରାଙ୍କ ମାର୍ଗଧରୀ,
ଘନ୍ଧାନ୍ଧା ବନ୍ଦାତା ବାଜେରାଳ୍ସ
ମିଶରାଙ୍କ...
ବିଦ୍ୟାପଦ୍ଧତିରେ ଫିଲ୍ମରେ ଗାନ୍ଧାରା,
ଏହିଥି ବିନାନ୍ତର
ଏହିଥି ବିନାନ୍ତର!

1971



მანეც

ქართლის მთებზე გადმომდგარი
გაზაფხული აღარ ბლავის,
დარი არ დგას სასურველი,
მაინც ქართულ მიწის ყვავილს,
სხვა ფერი აქვს,
სხვა სურნელი.

1993



სიყვარული

კო,

ცალკ-ცალკე მზეც და მთვარეც,

ერთმანეთის ტრფობით

იწვის,

ცის სიშორე

ზღვას აშფოთებს,

სიყვარული მშობელ მიწის,

ახატიათ გულზე ფოთლებს.

1994



მარგალიტებით სავსე პირთამდე

ზღვა ბორგავს უდვოთ და

უმადური,

და შემოდგომა ილევა,

მაშვრალ ტალღების ისმის

“ნადური”

და გარსკვლავების “ლილეო!”

1962



ანაკლის ლამე

მნათთა თვალები დაშრეტია სამყაროს,
მიწაზე ამდენი ფიქრით
და დარღით,
არა ჩანს სივრცის მესამედი,
ცის სიჩუმეში ვიდაცა დადის
და დამის წევარამს ისინათლებს
კვეს-აბედით.

1959



ჰიტებს, მხებს

მოკვდავთა ყაყანს გამოქვეულ
ამაყ მწვერვალებს,
თოვლის ქათქათა სიზმრებში
მძინარ
ჭიუხებს,
ეხებს,
ლოდს
რომ ნაპრალზე დაუსხლტება
ყინულზე ფეხი,
მისი წუხილი თუ აღვიძებთ
ათასში ერთხელ.

1978



ჩემს ცაზე აღარ გამოიდარა,
და სოფლის ანჩხლი
ნაგაზებივით,
შავი დღეები მდევენ მყეფარი...
და მე გავრბივარ,
სადმე ზღვისკარად,
უპდავების ხეს ამოვეფარო.

1978



არაბებივით შავი დრუბლები,
კვლავ ამოდიან ზღვიდან
ორსული,
გზა და გზა წვიმის ნაწნავს იწნავენ,
ადუდებულა და
გადმოსულა,
მოვარე —
ცის ქვაბში რძისებრ მიმწვარა.


1964



တော်မရဒုလိုပါ၏ ဇာမာ

မြေနာဖိုက္ခာ ပျော်စွဲ
လျော်စွဲ ပျော်စွဲ လျော်စွဲ၊
တော်မရဒုလိုပါ၏ –
ပျော်စွဲ မြေနာဖိုက္ခာ
မတာ။ –
မြေနာဖိုက္ခာ၊
နှေ့နှေ့ မြေနာဖိုက္ခာ –
ပျော်စွဲ ပျော်စွဲ ပျော်စွဲ၊
ပျော်စွဲ ပျော်စွဲ ပျော်စွဲ၊
ပျော်စွဲ ပျော်စွဲ ပျော်စွဲ...
ပျော်စွဲ ပျော်စွဲ ပျော်စွဲ...

1966



გადაუშლიათ ცისკრის რვეული,
მერცხლების ლამაზ ანგელოზებს
და
შავი ფრთებით
სწორ ხაზს ავლებენ,
და ჭიპჭიკით ველ-მინდვრებს და
ტყეს ამწვანებენ,
მათ შურით უმზერს ეშმა,
თევზის ცივი თვალებით
და ღორის თეთრი
წამწამებით.

1962



ქილოლა და დამანა

ჩირგვებში მჯდარ ორ ყურცხვიტას –
 თეორ დამანას, შავ ქილილას,
 თვალზე აკრავთ
 თმაგაბურძგვნილ შიშის ბინდი,
 რადგან ქსანზე ძველი ხიდი
 მწევარივით
 გაწოლილა.

1962



ნიავს რომ მიაქვს, იმ ბაბუაწვერას
სევდა,
და დედას მოწყვეტილი ვარსკვლავთა
ცრემლი,
და განშორების სინანული დღისა და
დამის,
დილამდე მნათთა პაწაწინა გულების
ფეთქა
და ჩიტის კვერცხში მჯდარი ბარტყის
ძახილი უხმო,
ტკივილი ყველა დაწოქილ მუხლის,
და ცაზე ელვის გაკრთომის წამი,
რწმენა ზეარსის მადლის და ნახვის,
ათასი წლის წინ ჩამოცვენილ
ფოთოლთა ჩქამი
ისმის ამ წიგნში...
და თვალებს ახელს...

1993

ბედია თუ ბედისწერა,
სიკვდილიგით ჭეშმარიტი,
სიკვდილიგით უსამართლო,
მოადგება ბჟეს კარეტით,
მოწყენილი რომ
“გაგართოს...”

1983



წვიმის პატარა ქაცუნები,
შიშით და თრთოლვით,
კვლავ გადადიან ცისარტყელას
გადებულ ბოგირს...
შეშინებული მოთარეშე ქარების ხროვით,
დუქმორებული აწყდება ნაპირს,
აბლავლებული ზვირთების ჯოგი.

1986



გარდასულ საუკუნეთა
მთვარეზე კშლიდი
იალქნებს
და მზეზე მედგა კარავი,
ის ხმები, –
რაც მე მსმენია,
ჯერ არ სმენია არავის.

1996



ა, ეს მგლისმუხლა ბილიკი,
ვითარცა შავი არაგვი,
სალ კლდეთა ნუყარ –
ნაყარით,
რომ მისდევს მაღალ ჭიუხებს,
ჩაიგლის გუდამაყართან,
სხვაგან
არსაით მიუხვევს.

1978



ცხრა ზღვის მიღმა –
მთას ღრუბელი,
როგორც მომტირალი
პირმშო,
მკლავზე უწევს დაღვრემილი,
ცისარტყელა
სველ ტანს იშრობს
ვარდისფერი მზის ღიმილით...

1968



ქართულ შტოზე ანაცერი
მე მირიან მეფის
ძე ვარ,
და მცხეთასთან
პომპეუსის ხიდს დავცეკერი,
როგორც წარსულ დღეთა მძევალს.

1965



იყო ტალღების სჯა და ყაყანი...
ცამ მიაწოდა ელვის
ლურსმანი,
და ქარიშხალმა მკაცრად
ბრძანა,
ზღვის,
მაღალ მთაზე აყვანა,
რომ მე მეხილა ჯვარცმა.

1958



მთაწმინდას უნდა გადაღლილ თბილისს,
ჰამაკი მტკვრისა
რომ დაურწიოს...
ხოლო მახათას მთას სურს, თაბორის
მთას
მძლავრი მკლავი გადაუწიოს
და... ეამბოროს.

1979



ეს პატარინა ტალღები,
ზღვის მკერდში
თაგჩარგულები,
მზეზე ჩუმად რომ თბებიან,
ნეტავ რა სიზმრებს ხედავენ
ძილში,
ასე რომ კროებიან...

1965



ვითარცა ადრე,
დიდი ხნის წინათ,
წევთავს და წვეთავს მირონი
ნათლის
ქართული ცისქვეშ წუთებს და წამებს,
გახამებული და მოქათქათე
მთვარის პერანგი აცვია
დამეს.

1965



ტალღები ზღვის შვილებია
სასურველი...
და სამო,
ოჯახი აქვს ზღვას ქებული
და...
მის დატოვებას ლამობს
ტალღა –
გათავსედებული.

1978



ვითარცა ქამს “დიდთურქობის”.

კვლავ ატყდება

კიდით-კიდით,

ვარსკვლავების ზარის რეკვა,

მოვა ქარი,

ვით დაგითი,

და ღრუბლების უშქარ ურდოს,

ქართლის ციდან

გადარეკავს.

1992



ქარიშხლის ფრთებით შორით მოსულნი,
აბლავლდებიან მაშინ
ზეირთები,
ვითარცა გუნდი ჭირისუფალთა,
როდესაც ერთი დაკვრით ზვიგენი
ზღვას,
მდგრიე მუცელს გამოუფატრავს.

1963



ქინძლა

კაცს რად ემტყუნვის,
როდესაც მწერი,
სინათლისკენ ილტვის ტიალი,
ჩემს მაგიდაზე ნათურას მიმქრალს
აღარ შორდება

და

დასტრიალებს,
ვინ იცის,
საიდან მოსული ქინქლა.

1990



မိုးမြာ ကွာမလ္လာ အလွှာစာ
နေ... ဗျာလဲ
မာရာရောင်းလှ
ပိုးလွှာ ရာမိုဒ်တ ဂားနာနာ,
နောက်ရောင်းလှ မိုးနာဂျာရောင်းလှ
နောက်ရောင်းလှ ပိုးနာနာ.

1978



მოულოდნელად,
მაგრამ გულდიდად,
კვლავ ამოფრინდა ბუხრის
ბუდიდან,
ცეცხლისნისკარტა კვამლის ბახალა,
წამსგე ნიაგმა ცისკრის ეტლით
ჩამოიქროლა,
ხეებმა თავი კრძალვით
დახარეს.

1979



გე,

ალბათ გვიან ვინდომე,
რომ მშობლიური კოლხეთი,
ხეთა ნუსხურით მეტერა...
და, ახლა ვხედავ
მინდორ-ველს,
ქცეულს გაუგალ ეწერად.


1989



ვესგები

დგას ყვავილები ფანჯრის რაფაზე,
სოსნები ჰყვავიან
იებივით,
ფოთლები მზის სხივებს ეკემსებათ,
წყლიან ჭიქაში ფერიებივით
ჭყუმპალაობენ შიშველი ფესვები.

1990



ზღვა ხმელეთს ჩუმად
დიდხანს ებრძოდა...
შავ მხრებზე აწვა
ცათა კირთება –
დარდიან დრუბლებს ზღვიდან
აფრენილთ,
და მერე გვიან,
ქარიშხალმა
შეკვრა ზვირთების
მშიშარ ნაპირთან
დაყარა, ვით ნაალაფევი.

1967



შორით თუ ახლო ნატყორცნი ისრით,
გაგლიჯა გული
ტკენამ და
წყენამ,
მოისრა მზერა,
შურის ნალეს ქვითა და კირით,
დაკარგა იგი,
რაც რომ სწამდა
და ჩემი რწმენა
ზის დარდის ქვაზე კუთხეში და...
უცრემლოდ ტირის...

1990

შენი სიცოცხლის შუქით გამობარი,
ჩემი დღეები შენთან
წავიდა,
დაღლილმა,
დღიდან,
კა, დამეში მხარი
იცვალე
და მიკვირს, დედა!
მოუცლელმა ერთი წამითაც,
სამარადისოდ სიკვდილისთვის, ვით
მოიცალე.

1983



მტერთა ჩვენთა გასაგონად

უკან მოხედვას აღარ აცლიდით,
ისარს ტყორცნიდით,
და სამარეს ჩუმად
უთხრიდით
ჩემს საქართველოს...
მუდამ პირვერი.
მორჩა!
გათავდა!
ახლა უფრთხილდით!
ქართველს სახეზე ადგვს მგლისფერი.

1994



დასალიერთან გამოჩნდა იგი,
ცა ჭექა-ქუხილს
ვინც აარიდა,
ვინაც ზღვის მოთქმას აუბა მსარი,
და ხიდან –
კედლის კალენდარიდან
დეკემბრის ფოთლის ბოლო ფურცელს
ჩამოხევს ქარი.

1966



როდესაც ვუსმენ რაგელს და ვერდის,
თავი მგონია ღმერთების გვერდით.
როცა ყურს ვუგდებ ბახსა და მოცარტს,
კიდევ ცოტა ხანს ვამჯობინებ
ამ სოფლად მოცდას.
და როცა ვუსმენ ვაგნერს და
ლისტის,
მგომია, კართან სიკედილი მიცდის...

1995



გადავიწყების მსმენია მუქარა,
მაგრამ იმედები
არასდროს მტოვებდნენ,
ამიტომ დრო-უამის აღარ მშინებია,
რადგან საუკუნე –
ბერი პაპაა,
წლები და დღეები –
შვილი შვილებია...

1990



ამაყად თავაწეულებს –
ხეებს
აღარ აძლევს შვებას
ქარი და ძირს უხრის თავებს.
აპრილი კი,
ისევ ვნებით,
მთებს უკოცნის მოქათქათე
მუხლისთავებს...

1989



მიწა დედური გულისფანცქალით,
 დიდიხანია,
 ზღვად დაღუპულთ
 აღარ მიელის,
 მათ ხსოვნას ზვირთნი ნაპირს აფენენ.
 თეთრით მოსილნი ინდიელივით
 ზღვა გლოვობს იმათ
 თეთრი აფრებით.

1966



ქართული სიტყვის დამყნობელს
და სწორუპოვარ მეხილეს
ხედავდი ღმერთკაც ვაჟაში.
მისებრ შენი ხმაც
ლაჟვარდში,
გადიგრიალებს მეხივით...

1991



თვალებთან თითო გერ მიაქვს დამეს,
თუნდ რომ მიჰქონდეს,
რა თავში გიცემ,
როცა მდევს შიშის გუგები ფართო.
ეჲეჲე ჰეი! –
გავძახი სივრცეს,
ნადირთან ერთად სიკვდილსაც
გაფრთხობ...

1989



შემოღვრების წვიმები

ჭექა და ქუხილს გაურბიან ტიტლიკანები,
რადგანაც მიწის სიშორე
სცვივათ
და შემოდგომას წუხან წვიმები.
ცის მინდორზე კი ღრუბლების თივას
აგროვებს ქარი და...
დგამს ზვინებად.

1958



ტანაშოლტილი ხეები,
ლამაზები და ბერწები,
კენწეროებით –

ცის რვეულში
რაღაცას აწერენ და ვერ წერენ.

1958



აქ, მეტახთან

რომ არასდროს დაავიწყდეს,
აქ,
მეტეხთან,
აი, ახლაც,
უერთ უგდეთ მტკვრის შავ
მორევს:
ობილისს თავზე
რაც გადახდა,
გულში როგორ იმეორებს.

1993



დუმილის ფოთლები –
მოქსხათ ლოდებს,
ცას და ცის არეს,
დუმდა ზღვაც...
მაგრამ
გამთენისას წამოსცდა ქარი.

1962



ქარზე ამხედრებულ ღრუბელს –
წინ მიუძღვის ელვა –
სარდლად
და აცვია ჯვალო ძველი.
ცას კი,
ცისარტყელამ ყელი
უცებ,
უხმოდ გამოლადრა.


1972



გულნარა

ვერ მოგიარე პირველ სიყვარულს,
ღმერთმა წამართვა
ამის უნარი,
ამდენი წელი ფიქრში გზრდიდი,
გაზრდილს უდედოდ,
ო, როგორ ხარობს გული,
გულნარა!
რომ შენი ტრფობა გამყვა ქუდბედად.

1990



მარაპდა – 1625

მოების ქვაბში დუღს მარაბდა...

და დალატის ფრინველი იქ,

სიძულვილის ბარჯდლულ ტოტზე –

ბუდეს იქსოვს და იკეთებს

და შიგ ჩეკავს:

ჯვარისმცემელს,

თვალისმთხრელს და

თავისმკვეთელს.

1989



დამეს მხრებზე გარსკვლავები
უბრწყინავს და
უბრჭყვიალებს,
ვითარცა სამხრე ჰუსარის.
შორს,
ნალეგა მთვარე მოჩანს,
ვითარც ღმერთის
ნაქუსლარი.

1978



ზღვა ქარიშხლის შემღებ

ყველაფერი წყალში ყრია,
ცის და მიწის არის გლოვა...
თითქოს ურჩმა
და გაგრიამ –
გალეშილმა დევთა ხროვამ,
ხლვა სულ მიანგრ-მოანგრია.

1960



აღმოსავლეთით მიედინება
და იწმინდება ამდვრეული
ღამის მდინარე.
ჰორები დილის კარებს უღებენ
და მხრებგაშლილი,
სახემცინარი,
მზე მობრძანდება წითელ წუდებით.

1964



ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
დავითმა მტერს რომ უმტვრია
კარი,
მისი სახელი მიტომ ზარავდათ...
მას,
სულ ხელთ ეპყრა მშობლიური მთოვარის
ფარი,
ეხურა –
ქართლის ვარსკვლავების
ჯაჭვ-მუზარადი.

ცამ ჯერ ელვა გაიღიმა,
მერე უცებ დაიქუხა,
აცახცახდა მოების გული...
და ტყეც შეკრთა...
წარბგამსკდარი
იდგა ზუხა,
ხავსით სახეშედინდლული.

1987



მზე როდესაც შავეთს ჩავა,
უბრუნდება ფიქრი მიწას,
უსამანო ცა —
მოვლილი.

ზღვა სამოსს პვლა დაიფხრიწავს,
თოლიებით დათოვლილი.

1989



01ლგზზ0 და მყინვარ0

ვით ჭაღარა ჭირისუფლებს,

გაუშლიათ ომა –

ჩანჩქერის...

და სიცოცხლეს გამყივარი –

საქართველოს გადმოსცერის

იალბუზი და მყინვარი.

1989



ხეთა კენწეროებზე –
წუხელის ზამთარმა
ჩამოარიგა თოვლის
ქათქათა ფრინველები,
ასე იქნება ალბათ ამაღამ.
ფრინველებს უნდათ ხეებს თავი
დაახრევინონ.
არა და არა!
მათ უჭირავთ თავი ამაყად.

1981



ათასწლეულთა ნიხლით მოსილი,
ხსნად და იმედად
მაინც მეგულვი,
წარსულმა ცეცხლი კვლავ გამიჩაღა.
“მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული”
შენ გელოდები, როგორც ყიფჩადი...

1990



AMMAINĀ

მიიწურა და მიინავლა წელი ერგასი,
რაც რომ სიცოცხლის
მაღევს ბორკილი,
ჩემი მზე მზეობს
და დღეებმა ცას ვერ მიაქრეს,
თუმც ammainā¹-ს ვიღაც მომკიფის,
მაგრამ არასდროს არ დავუშვებ დაბლა
იალქანს!

1993

¹ ammainā – დაუშვი იალქნები. იტალ.



მნათთა ქოხებში იჭვრიტებიან,

ცა —

ქუდად აღარ მიაჩნიათ,

ზორა —

ქალამნად,

მაგრამ როდესაც მოვა ჟამი,

გეფეც,

მღოსანიც,

მაშინ რას იზამს, მარტოდმარტო

როცა დადგება

წინ —

ამოუხესნელი გამოცანის.

1991

კრწანისისა და ორთაჭალის მზიან
ბაღებში,
ისევ ჰყვავიან
თეთრი ნუშები
და გარდასულთა –
სევდიანი ქრიან ქარები...
თბილისის,
ცეცხლით დამწვარ კარებთან,
მზის თაიგულით დგება დილა
და... იშმუშნება.

1991

არა,

მეოტიდის ზღვასთან,

ზღაპრულ პონტოს პირას

გეძებ

მშვილდ-ისრიან ამაზონებს...

აქ, ფაზისის ნაპირებზე

თქმულებებს და ოქროს ვერძებს

გითარც ადრე, პელავ ვაძოვებ...

1959



ვარსკვლავებს ცაში ეძინათ მშვიდად
და მთელი დამე თვალი აღარ
გაუხელიათ,
და მერე გვიან, ზღვის ნაპირზე
გამოჩნდა მთვარე.
გაიქცა ტალღა შესახვედრად,
მაგრამ ლოდს უცებ
მიარტყა თავი...
წამს საშველად მოვარდა
ქარი.

1979



შური

(იუმორესკა)

შური პირიდან მუდამ ყრის ცოფებს
და მოაბეზრა თავი

აბ

სოფელს,
ცხვირსაც ყველგან პყოფს...

არა ჩანს წოპე.

1991



სამშვილდე

ქალაქი “არს ფრიად მაგარი”.

გახუშტი ბაგრატიონი

დუმს ათასწლეულში სამშვილდე...

არც ერთი ისარი...

არც შები...

არც მშვილდი...

და სანამ ავშლიდით

წარსულის შავ დრუბელს

და ნაქალაქარზე უხვ სუფრას

გავშლიდით,


მანამდე სამშვილდის ცა იყო პვლავ

მშვიდო.

1976

მოვარდა და უცებ ელგამ
 გახსნა ყუთი ცად პანდორის,
 მიაყოლა ნიავს წვიმა.
 მაშინ ღმერთი განრისხდა და ზღვის
 მინდორი –
 ქარის გუთნით გადახნა და
 ბელტი ბელტზე მიაწვინა.

1979



ორი ტალღა

ერთი აქეთკენ მოფრინავს,
ფრთალურჯი,
სახემძვინვარი,
მეორე ლამაზ ნაპირთან,
ლამაზ თვალს ახელს მძინარი.
პირველს რამდენი უგლია
და არვინ იცის,
ვინ არი,
ალბათ ერთი ზღვის სულია,
ხოლო მეორე— მდინარის.

1959



ქართლის დედის ვისმენ კივილს,
ჩამოხეულს ვჭვრებ მის
საკინძს,
და... აღვიქვამ ბნელში ელგას,
ვითარც შაჲის ხმლის გაკრთომას,
თაფზე პაატა სააკაძის.

1958



ლამეზლი ფიქრები

დამის შავ რაშზე ამხედრებული,
სანამდე მოვა მეგალე დიდი,
მანამ რუბიკონს მე გადავლახავ
და ცისკენ მზირალ მოქმედ და
მწვერვალებს
ფეხქვეშ გავიფენ მწვანე ბალახად.

1961




ასე ყოფილა,
ვინც იხილა,
სიცოცხლის დიდი დღესასწაული,
უპმაყოფილო თუ კმაყოფილი,
არ ყოფნის კარებს,
გვერდს ვერ აუვლის.

1977



ზღვა ხმელეთს ვერ მოერია,
გემებზე ჯავრი იყარა
(ელოდა დროის მოხელოვას),
და ერთი ტალღა ნაპირზე –
თვალ-ხელშუა ამოიპარა
და ქვიშა ოქრორეული,
სულ ერთიანად მოხვეტა...

1967



მოვა უამი და მოულოდნელად,
ერთ ტოტზე დამსხდარ ჩიტებს
აგვიქშევს,
და ჩვენი ყოფნა –

ცის საცერმი წამს გაიცრება,
რამეთუ აკვნის რწევის ხმაურმი
ჩუმად ითლება –
კუბოს ფიცრები.

1987



ო, როგორ ებრძვის ყოფნას
არყოფნა,
ღელვას გავყურებ მე მონუსხული,
ზღვა პლატონია და ეზოპეა,
ტალღები –
ლოდებზე ნუსხურით
აწერენ თავიანთ გმირულ ეპოპეას.

1963




თბილისს რომ მიუაღერსოს,
არა ჩანს —
კოჯორის ნიავი,
სიცხე კვლავ წარამარაობს...
პეპელა უნანიავებს
გარდს —
ციცქა ფრთების მარაოს.

1989



მტერი კი არა,
ფიქრები,
ათასჯერ მოკლულს ისევ მკლავს:
არტანუჯის და
ხერთვისის.
ღმერთს მოსტაცეს და ცეცხლი
კპლაკ,
ისევ მიიწევს –
ღმერთისკენ.

1978



ენგურის მხრებზე გადმომდგარ
ამაყ მთებსა და
წავარნებს –
ბურავს ტყე,
ვითა უსურის,
ცის ქვაბი ისევ ვარგარებს –
მნათებით ამოლურსმული.

1989



ისტორიებში თვალს რომ მივლულავ,
მესმის ყიჯინა
და ქრიამული,
აქეთ ქართების,
იქით ბასკების,
ასეა მუდამ:
წარსულ დღეთა ხმები გმირული,
მომავალს ძლიერ ექოდ ასკდება.

1979

ზღვის კარად მზით გაჩენილი,
კოლხეთის მიწას
შეზრდილი
“ოდოია” და “ლილეო”,
როგორც მტკვარი და ენგური
იდენს, არ გამოილება.

1987



ორი ნამოვი

ერთი დღე ყოვნის
მზეს, რომ დამწიფდეს
(თურაშაულის ვაშლივით
წითლდება).
ასე მზესავით,
ცას ასხია მკვასე ნაყოფი,
მთვარის,
რომელიც არასოდეს
არ დამწიფდება.

1960



მიუხედავად ამინდის,
სამიათასი წელია
ათრობს მაშრიყს და
მაღრიბს –
სურნელი სემირამიდის
და კოლხ გედეას ბაღის.

1988



სამშობლოს წსნის გზა

ფიქრით ავედი (მერამდენედ)
კოხტაგორაზე,
/მდევდა მონღოლთა შიში მალული/
დავჯექით ბჭობად
მე და გაგელი,
მაგრამ ვერაგზით “წსნის გზას”
მამულის,
გარდა “ხარაჯის” –
სისხლის ჩვენის,
ვერ მივაგენით...

1991



სიკვდილი

შემოსილი შავად,
ლოდზე შავად ზის,
თვალები აქვს ზღარბის,
მოსულს შავი გზით,
და საფლავებს ჯდაბნის,
შავი ფესვით ბზის.

1994



არყოფნის ფართო სადარბაზოდან –
მუდამ მწუხარე გესმის
არია,
(ნეტავ საწუთრო რას გემართლება!)
იქ ჯერჯერობით
ხუთნი არიან,
იმ მაღალ ლანდებს, –
სანამ შენი შეემატება.

1981



ბოლოს მაინც უფალი
 ჯოჯოხეთში შეგვდენის,
 და ტყუილად იმედის კოცონზე
 ნუ თბებიან.

მთვარით მოჩარდახული ცა –
 ბაღია ედემის,
 ვარსკვლავები მაცხოვრის –
 ქრისტეს ყვავილებია.

1957



60ავთ

ჩემი ძვლითაა ნაგები –
ალავერდიც და გონიოც...
და იმ მთისა და ამ გორის
ნიავი,
მიტომ მგონია –
ჩემი სამშობლოს ამბორი...

1994



როცა იქნებს,
ელვის ნათელზე,
პიტალო კლდეებს მიჰყვება ტალღა,
თითქოს ასხია ფრთა ქეიბურის.
სველი ფეხებით
ამოდის მაღლა,
ზღვა –
ქარიშხალით გადვიძებული.

1988



0სეგ სამებრელოს დაჭაშვილა

“ძმებმა”,

ეგროსის ნაშიერთ,

ალოკეს სიმწრის მარილი,

მერე პირწმინდად “გ-ა-ჩ-ო-თ-ქ-ე-ს!!!”

და დასაკლავი ხარივით,

ზღვისკარად

წამოაჩოქეს.

1993



სადღაც მომავლის ხარობს ჯეჯილი
 და გესმის მისი
 ჩუმი შრიალი.
 თუმც წარსულითაც შენ ხარ მდიდარი,
 ჩემი სიცოცხლე გიდგას
 თავდებად,
 რომ შენს თვალებშიც გამოიდარებს –
 მამულო ჩემო!
 შენი ყანაც დათავთავდება!

1994



დოვაჩილი


გუშინ რომ მომდევდა ფეხდაფეხ,
საწყლად რომ მიწვდიდა ხელებს
და მიკოცნიდა მუხლებს,
ო, ის პატარა დელქ,
ზამთარს გაყოლია წუხელ.

1959



გეღარ გავუძელი სიზმრებს,
ხელი დავუქნიე თბილისს,
ჩემს ხორგაში –
კვლავ აქა ვარ,
დედა!
ნეტავ შენს საფლავზე,
შენს ძეგლადაც გამაქვავა.

1986



ბევრჯერ გადაგილახავს რუბიკონი,
თუმც გულში გხვდებოდა
ისარი.

ყველა ავისმდომის და თუქსუსის,
მამულო!

გყოლია კეისარი,
მაგრამ...
ჰაი,
ჰაი, რომ გყოლია
ბრუტუსიც.

1993



მთვარე ღრუბლების თეთრი პარაშუტით,
 სადღაც,
 მთათა მიღმა ეშვება,
 ქარებმა ცის კიდე ვარდისფრად შეღება,
 გარსპელავებს –
 სინათლით სავსე აქვთ
 პეშვები
 და დედამიწაზე ეღვრებათ.

1981



რაჭაში

მნათნი,

მთელი ღამე ნათელს
ჩურჩულებდნენ
და ვერ დაუსვეს სათქმელს
წერტილი, —
ნიკორწმინდასთან და ვერც ბარაკონს.
და მერე გვიან,
ქანცგაწყვეტილებს,
გამოელიათ სალაპარაკო.

1977



გადმომდგარი ცის კოშკიდან
დამის ნისლში გერრას ხედავს
მთვარე,
რადგან სულს ძლივს
ღაფავს.
ნავი –
აფრით მოპგავს მხედარს,
ჩაჭიდებულს ზღვის ლურჯ ფაფარს.

1957



მთიპავის სიპვდილი

სისხამ დილიდან,

გვიან მიმწუხამდე,

სიცოცხლის მინდორზე იქნია ცელი... და
თიბათვეს დაუდგა ძეგლებად ზვინები,

მერე ცას ახედა:

- უფალო, ინებე! -

“ცხოვრება არ ღირს იმად, რომ
იწვალო”¹

თქვა და...

წითლად შედება ფიწალი.

1994

¹ ალბერ კამიუ – “უცხო”



ცეცხლისა და ცრემლის მთესველ,
ჩვენს “ამამოხელს,
ამამბზარავს!” –
სანებსა და ომარ ფაშებს,
ისევ ვუჭვრეტ წარსულიდან,
ქართლში ურცხვად მოფარფაშეთ.

1992



გუახლოვდებით თბილისს,
კოლხები
რომ გხმობთ
“ქართაღ”.
ჯერ კასპია და ხოვლე,
წერს დეკემბერი ზამთარს,
თეთრ პაპირუსზე –
თოვლის.

1967



გარდასული დღეთა ტანჯვა,
პალიასტომის და ნაბადის,
მისხალ-მისხალ არწყულია!
ზღვას –
ლაჟგარდი ცა სწყურია,
თოლიებით გადაბარდნილს...

1967



ხერთვისის და ციხეს თმობვის

დამანახეთ ჩემი მთები,
ცის ბინადარ მწვერვალებით,
სიკვდილის წინ ძალას მომგვრის, –
ერეპლეს ხმლის ელვარება,
ხერთვისის და ციხეს თმობვის.

1996



ქარს სურს დრუბლებში გასეირნება
და თეთრ ჩალმიან ყიზილბაშივით,
სულ მაღლა,
მაღლა მიუყვება
მთათა იარუსს.
ზღვა კი ახალფეხადგმულ ბავშვივით
ბანცალებს...
სწავლობს და კერ სწავლობს
სიარულს.

1985



დღისა და დამის მხრებს დაყრდნობილი
მივალთ...

გადაგვდის ლავა თუ ხვითქი,

გზა გვიძევს ძნელი,

დიდი...

და შორი...

სიცოცხლე წუთებს და წამებს

გვითვლის,

სიკვდილს არასდროს არ აწუხებს

პრობლემა –

დროის.

1978



ადრე სხვა იყო...
დღეს არვინ ისმენს,
მამულის ცისქვეშ
წუხარ თუ მღერი.
შთანთქა ყოველი ყაყანმა ბაზრის
და გაუხუნდა –
სიყვარულს ფერი.
სიტყვა –
სამშობლომ დაკარგა აზრი.

1994



1 9 9 1

...და,

აი,

ახლა თვეა ენკენის,

მტვრების ხმა მესმის –

ჩემი თბილისის

ბებურ ნეკნების...

და ემატება ცეცხლის ალს ალი...

(შვილებს წყევლიან დედის კალთები...)

რას იქმ...

ვითარც მზე ამომავალი,

ჩემი სამშობლო –

წელში ისევ გაიმართება!..

1991



Թյախո ցանցիատ դա...
Համբարյան օրեցիան
Տյաստան դա նամակուլո տմօա...
Ցողրուս ցոռուլյածո -
Տասվարուս პօնյած,
Եպոզո -
Ցուրյած,
Դա Շյմուջոմուս մոսացալս և վարեան.

1974



მიმოაბნია ზეცამ ზეფირი
და დაიბანა უცებ მზე პირი.
შენ კვლავ ჩაჰყურებ წყალს –
ნარცისიერი...

აგქ,
პატარა ნაკადული გარბის სირბილით,
იქვე ხევია და...
კისერს მოიტეხეს!

1967



გასწორებია გადაშენებით
და უამს არყოფნით
გაუთოკია
(თურმე უამს ყოფნა ფეხზე ჰქილია).
პონტო,
ურარტუ,
ხეთი,
მიდია,
დიაოხი და კაბადოკია.

1962



1 9 9 5

იმედის სხივი აღარ ჭიატებს,
დარდის გრიგალი ქრის
საშინელი
და დამეები ირგვლივ მარტყია,
რწმენის ბუდეში –
სხედან მშიერი,
ჯერ ჩემს სურვილებს არ უბარტყიათ.

1995



სხვისთვის არ ვიცი,
მაგრამ ეჲ,
შენთვის,
ვით გაჩორებნილი ოთხი ფიცარი,
არის ეს –
მუხის ოთხი სტრიქონი,
სადაც სიკვდილის თვალთა ისარი,
შიგ მწოლიარეს
კედარ გიპოვნის.

1975




შორით მოსული პატარა ტალღა,
მძინარე ნაპირს ერქინება,
როგორც ჭედილა,
გარშემო ქვიშის სიმხურვალეა,
ცისარტყელა კი,
გარსკვლავებით გამოჭედილი,
მზის ცეცხლის რაშის –
ოქროს ნალია.

1966



სადღაც სინათლის წლებიდან
გლოვობს სხივები მარიხის –
შავებით მოსილ საღამოს,
შავი ზღვაც ტანზე შავ სამოსს,
ვინ იცის,
როდის გაიხდის.

1959



პატი

ავი ქოფაკი მიბმულია ჭიშკართან

ჯაჭვით

და უჩანს კბილთა ოქთოი სარები,
ვიღაც ეძახის პავლე!

ვო, პავლე!..

ეზოში ჰყვავის ბაღი ედემის,
ბაღლის ყეფაზე ამვლელს და
ჩამვლელს,

პატრონის არა,

ჯაჭვის უფრო ეიმედება.

1962



განა დღეები და დამეები
 გვტოვებენ ჩვენ და,
 სადღაც იძვრიან,
 მოკვდავებს გვრჩება ვარსკვლავებით –
 ცა დასეტყვილი?..

არა,
 სიცოცხლე,
 დღით და დამით
 არის სიკვდილი
 და არ გვიყვარდეს არ შეგვიძლია.

1958



ვერ შევაჩერე ქამთა დინება,
თვალებს მით მიწვავს
ცრემლთა კურცხლები,
რადგანაც ვიცი,
ქვეყნად უჩემოდ,
მზითა და მთვარით გადიფურცლება,
დღის –
თეთრი,
ღამის –
შავი ფურცლები.

1995



მოფუთფუთე ფიქრთა მატლი
მახვევია...
მაგრამ მაინც,
არ ვდალატობ
ღვთიურ რწმენას, ვით იობი,
შენს სიმაღლეს,
ვით განგებას,
სიკვდილამდე მივენდობი.

1992



რომ გაიგოს ცამ და მიწამ,
საქართველოგ! –
ჩემო დედაგ!
ჩვენი სიყვარულის ამბავს:
არწივს –
ფრთაზე გამოვაბამ,
ცხენს –
ნალისქვეშ ჩავჭრდავ!

1958



პონტოს ზღვიდან ისევ მესმის
 ხმები ცივი,
 ვით ყინული,
 შავ,
 უამურ ფიქრს რომ აშლის,
 და შორს რომ ჩანს მოჭიმული,
 ცისარტყელა კი არადა,
 მშვილდი არის ყიზილბაშის.

1994



ცა არწევს დამის ლურჯ ოკეანეს
და მნათობების არის
მოხვია,
ოცნება,
სადღაც მისდევს ზმანებებს,
მინდა სამყაროს ხელი მოვხვიო
და მოყვასივით გულში ჩავიკრა,
მაგრამ სიდიდე აღარ მანებებს.

1967



პრგოს გამოჩენა

იქ ურჩხულის თოლი ათი,
დარაჯობდა ვერძს და
მუხას,
ო, იმ ღამეს, ქცეულს ნაცრად,
ვით დაჭრილი გოლიათი,
ზღვა ფაზისთან
მობარბაცდა,
მერე იქვე ჩაიმუხლა.

1974



ათასი ღლის მერე სათმოვლი

პირალესილი ხმლით და ქართულით,
ათასწლეულებს –
მე ვეომე,
საუკუნეები –
მე შევძარი,
წინ ვერვინ აღუდგა –
ჩემი ლექსების ლეგიონებს,
ვით სპას ცეზარის.

1994



ზღვა ისევ დელაგს...

და ზღვის ფსკერიდან,
ქარებს ამოაქვთ არყოფნის ჰანგი,
სიბნელის მიღმა ნათელს აფრქვევს მზე
და მზის ჩარხი,
ცივ და შორეულ ღიმილს გვფენს მანგი
და ვარსკვლავებით სავსე არის
დამის ჩიჩახვი.

1972



რკინის მკვნეტავ და საცრისთვალება –
წვენ დიდ წინაპარს
თავზე მუმლივით
ეხვია მტერი ავი, ურჯულო,
მოკვდა და...
მიწის ცივ სიჩუმეში –
ხელში ფარ-ხმალ აქვს ჩაბლუჯული.

1962



შიშიოთ გასანთლულ სინათლის თოკიო,
კვლავ უნდა ელგას,
ცის შავი ჭერი მაღლა აწიოს,
სურს მიწის ქვაბში დამწყვდეულ
დელგას,
ქარიშხალს თავი
რომ დააღწიოს.

1961



შინააართა დიდ ნაბოძვარს

ქართლ-კახეთი,

აფხაზეთი

მიაძინეს სხვათა

ჰანგით...

და ამიტომ წინაპართა დიდ ნაბოძვარს:

თოფს და ხანჯალს,

მშვილდს და ბოძალს –

მოსდებია დარდის ჟანგი.

1979



ღრუბლები შორს მიფრინავენ,
ელვით გასანასკვავები...
ცაში არა,
ზღვაში დაბლა,
გაუშლია მთვარეს ტაბლა,
გარს უსხედან –
ვარსკვლავები...

1972



ვით წინასწარმეტყველს და
ბრძენთა ბრძენს,
მთოვარეს –
ქათქათა ღრუბლებით
შეფუთვნილს,
თან ახლავს ვარსკვლავი –
ფერმკრთალი ასული,
რომელსაც უჭირავს ცა,
გითარც “ეფუთი”,
და ამბავს უკითხავს ქვეყნის
დასასრულის.

1959



გაუა გარ და...

გაუავობ,
მთებში გგრგვინავ არაგვად,
ბარად ხმა მემატება,
ოცდაათი წელია,
გხატავ მე ჩემს ხატებას,
მაგრამ მაინც არა მგავს.

1970



ახალი, 1992 წლის დილა

თბილისში

მტერს გული რომ გაუხაროს,
ცეცხლად მისდევს ტყვიას ტყვია
და ქართველთა გულებს გმირავს
შვიდი,
ცხრიდან,
როს გათენდა,
გადახედა დილამ თბილისს
და სახეზე –
მზის ღიმილი შეაცივდა.

1992



გალობათა ციხე-ქოშკი ავაშენე,
გოქვი: მის მცველებს
მეც ვიპოვნი,
რომ დამპყრობელ უამს ებრძოლოს,
ვითა ყევნს,
და... ზღვა,
ზეირთთა მეციხოვნით,
ჩემი წიგნის ქონგურებზე დაგაყენე!


1995



ა. გ. გ.

გადაუყინავს ათასწლეულებს,
ცივ სივრცეებში თოვლის –
ღრუბლებად,
და დამეს შვენის მთვარის წრიაპი,
ცა მშობლიური
დედამიწას რომ დამხობია,
თავის ქალაა –
ბუმბურაზი ჩემი წინაპრის.

1962



ო ა ჰ კ - ლ ე ჩ ხ შ მ ი

გმირთა უკვდავ საქმეებზე,
მოსთქვამს ახლა
გუდა-სტვირი...
ეკალ-ბარდი ვარცხნის ქარებს...
და დამ-დამით ბუ დასტირის –
ქართველების ნაციხეარებს.

1994



თბილი

თოვლის თეთრი წინსაფარით,
გადმომდგარან მთები
დინჯად,
აქეთ ფარსმას,
იქით დირევს,
და...
მოტეხილ ფრთას ვუსინჯავ
ლექსს –
დართლოში
ნანადირევს.

1966



შენი ცა წამით რომ გაგინათო,
ახლა მთიები რომ ქრიამულობს,
ჩამოგიქროლებ,
ვით მეტეორი,

და...

ქრისტესავით თუკი მოვალ ციდან
მეორედ,

ო,

ისევ ისე,
შენოვის მოვალ, ჩემო
მამულო.

1998



არა ჩანს ცოტნე...

დატრიალდა ჩარხი უკუღმა,

გამოგვიჭედეს კვლავ ბორკილები...

“ყვარლის მთები” და მთები საჩინოს,

ქართულ მიწაზე –

ლოცვად დგანან მუხლმოყრილები,

რომ ერთიანი საქართველო გადაარჩინონ!

1994



უზარმაზარ ცის მინდორზე –
მილეული მთვარის ბექი,
მოჩანს, როგორც მალხ-
მავეთი.
და შავ ღრუბელს,
აქლემივით ზურგჩაზნექილს,
ქარბორია მიაქროლებს დასავლეთით...

1995



ბაბრას დაცვა

გველეშაპი ცეცხლს აფრქვევდა,
ამირანმა შესძლო შებმა,
მაგრამ როცა გადაყლაპა დევმა
გაგრა,
ერთმანეთს კვლავ გადახედეს ქართლის
მთებმა
და ზღვაც შავად აიჯაგრა...

1993



ცას, —

დრუბლებით შავად ნაწერს,

ელგა წითელ ხაზებს

ავლებს,

შარიშური გააქვთ ბჟოლებს,

და მესამე ყივილზე კი ამაყ მამლის,

ვარსკვლავებს ტანთ

გააქრეოლებს...

1958



ხორგაში ვარ...

ჩამოვყევი დილის ნიავს,

პირველ შემხვედრს

შევეკითხე

ბებერ ალვას:

- ჩემი სიყრძე აქ ხომ

არსად შეგხვედრია?!

მომეჩვენა:

უარის ნიშნად,

ალვამ თავი გაიქნია.

1991



ცხოვრება თუ ბრძოლა არის,
უამთან ომი შენ მოიგე!
(ვერას აკლებს ომი ძლიერს),
გამარჯვებულს,
თვითონ ნიკე,
დრო მოვა და...
მოგიძიებს.

1994



გამენა და კალიოპე

დარჩენილი ოცნებები,
რაც დღეებმა გამილომპრეს,
რომ ღვთის ნებით წამიმართონ,
არ მტოვებენ წამით მარტო, –
კამენა და კალიოპე.

1989



ცის დასავალზე იდგა გორებად
 დრუბლების თეთრი მატყლი და
 ბამბა,
 რომელსაც ქარი გარდისფრად
 შლიდა,
 მთვარის ბალიშზე დაედო თავი
 დამეს,
 და ცაში,
 ღმერთთან ახლოს
 ეძინა მშვიდად.

1989



მიირთმევ დვინოს ნეტარებით,
ნერეიდები გართობენ...
თავზე გესხმიან კენტავრები –
ათობით,
მაგრამ შენ ბოლოს,
დამბადებელი გაქცევს მნათობად,
ვითარცა ფოლოს!

1990



აღმოსავლიდან ვიდრე დასავლით,
 ბოლაგს და ბოლაგს
 მზის ნახანძრალი,
 აქრობს,
 ვერ აქრობს ელვის ბინული,
 სადღაც შორეთში მკრთალად მოჩანს
 მთვარის ტაძარი,
 ვარსკვლავების ქონგურებით
 დაკბილული.

1979



ძალაში პამბოჩისანი

(ფრაგმენტი პოემიდან)

“...და მოვიდა მეფე კაგად და შემუსრნა ქალაქი
კამბეჩისანი, ჭერამისა ციხე და ველის ციხე.”
“ქართლის ცხოვრება.”

ვახტანგ მეფე ვერ დაუთმობს ქართლს
და
ვახეთს

ცბიერ კავადს,
თუმც ჭერმის და ველის ციხემ,
მტერი ვეღარ შეაკავა,
და... თავები ისევ ცვივა ჩაფეუტით და
ჩაბალახით...
და... სიცოცხლის დიდ ჭალაში,
მტერი სიკვდილს
აბალახებს...

1962

მწუხერმა მნათთა ნათურებით
სანაპირო კვლავ დანაღმა,
მერე ქარმა ცბიერმა და
გველაძეამ,
დალატისთვის ერთი ტალღა,
ბნელ ნაპირთან –
გამოაბა ცხენის ძუას.


1978



დაგითვერული

რაც მე ცრემლები მიღვრია,
იმდენი,
ხიდან ფოთლები
მიწაზე არ დაცვენილა,
თუმც,
საუკუნე მრავალი,
ჩემს ხმალზე გადაწვენილა...

1992



ათას ქარიშხალოან ნაბრძოლი,
 ქანცგაწყვეტილი და
 დაღლილი,
 ტალღები ნაპირთან ყრია უძლურები,
 ზღვას გამჭვირვალე ნისლის კაბიდან
 მოუწანს კუნძულების –
 ძუძუები.

1977



ავთანდილის ისრის ნატყორცნ –
ორბს სისხლი ხდის
იარადან,

რვაასი წლის სწორებია...
ჩემს წიგნებში გაწოლილი,
სტრიქონები კი არა და,
შოთას ვეფხის ზოლებია.

1989



გაფენილი კიდით-კიდე,
ცად ღრუბლების
ფართლეული,
ზღვას აღელვებს,
მთას აშინებს,
სანამ ელვა გადაზომავს,
თავის მეტრით და
არშინით.

1967



სკილას და ქარიბდას გავაღწევ,

მოვალ და...

სიყვარულს გპირდები,

სიცოცხლემ რომ გაინავარდოს!

უფალმა ნუ ქნას და...

თუ გაგიჭირდება,

მიხმა!


და... ქვას ქვაზე დაგადნობ...

1979



ო, როგორ მიყვარს მთოვარის შუქჩე,
ქარის ნათესი
ზეირთთა ჯეჯილი,
როდესაც უცებ აღაღანდება,
გწევარ ქვიშაზე
გზით დაჯეჯგილი,
მინდა დამე და...
აღარ დამდება!

1976



ფუღურო ხე

ფართოდ გაუდია პირი
და ცას გაოცებით უმზერს,
ხოლო ციცქნა ჩიტის ბუდე,
ტყისკენ გაწვდილ ხელის გულზე,
მეგრულ ფაცხასავით უდევს.

1961



აღარ ჩანდა გარიურავი,
გლეხეკაცები ყანას მკიდნენ...
დაიყივლა...
და მამალმა,
ამ ყივილით ზეცის კიდე,
ვარდისფერად ააკვამლა.

1960



პერკულესის სიმატები

ჯერ შორსაა,

ადრეა!

ნუ მიწოდებო იღბლიანს,

თუმც პეგასი მიმაფრენს

ისევ თავგამეტებით...

და დუმს კაბადოკია,

ფინიკია,

ლიბია,

ნათლად მოჩანს ხატება –


ჰერკულესის სვეტების!

1994



როს მომივლენს ღმერთი რისხვას
და ჩემს ხომალდს კლდეს
მიახლის,
ისეც იცვამს...
და შავი ზღვას,
ჩემს საგლოვად არ სჭირდება
შოვნა დაჩენჩხვილი თალხის.

1993



0სეგ დიდგორი

დავითის ჩარჭობილი მახვილის,
გხედავ –
გვლავ ქანაობს ტარი,
მესმის წარსულიდან ძახილი:
დიდგორი –
ჯერ დაუწერელი,
ქართველთა ისტორია არი.

1977



ნახევარმთვარე

შესევია გარსკვლავები
ცას,
და ადევს ფერი
ლილის,
და წაზრდია ღამეს მთვარე –
ნეკის ფრჩხილი.

1958



ვარსკვლავებს შორის რად მემალები?!

როგორ ვიქნები ქვეყნად
მე მშვიდად,
სანამ დღეები ცას არ შემრთავენ,
რომ პლეიადა შენ ხარ მეშვიდე,
ასე შორი და ასე ფერმკრთალი.

1988



ლამეს ახურავს მზის ყაბალახი,
განთიადის ცის მოქსოვილი
და დგას
აღსავლის კარებზე,
ტალღა ბნელ ნაპირს მოივლის,
თითქოს დაკარგულ ზღვას ეძებს.

1985



ოპტიმიზმი

დააბრმავებდა ნახევარ მიღეთს,
რაც საქართველომ
ომები ნახა,
ქართული ცისთვის მოუხდია
დუშმანსაც ქუდი,
მოწმეა ლმერთი,
არ გვქონია
წარსული გლახა,
არც მომავალი გვექნება ცუდი.

1995



ეპა, ქართველონ

(საქართველოს ისტორიიდან)

კრწანისის ომში მეფე ერეკლემ,
 ძლივს მოაგროვა მცირე მხედრობა:
 (“მოყვრებმა” ყველა კარი
 ჩარაზეს),
 რადგან კავშირი პქონდათ მტრებთან და
 მაცილებთან,
 და როცა მოკვდა,
 თურმე მეფეს მცხეთის შარაზე,
 ოციათასი,
 დარახტული ცხენოსანი მიაცილებდა!!!

 ეპა, ქართველონ!!!

1992



გახმა, ქართველნო

ჩემი სამშობლოს მტერს და მოყვარეს,
ეყო თვალებში შემოყრა ნაცრის,
ქართლს სისხლის ცრემლი
სანამ ცვიოდეს?!
და ფიქრში ვყივი: კვლავ ქუდზე პაცი,
მაგრამ ლანდს ვხედავ სულ ოციოდეს!!!

· · · · ·
გახმა, ქართველნო!

1993



გარსპოლავები

თვალებ მოციმციმე,

სახე მხიარული,

მიწის სიშორეს

გაიქილიკებენ

და,

ეს გარსპოლავები –

ზეცის მდგმურებია,

დედაწულიანად დამის ბილიკებით,

დილის შესახვედრად –

მიეჭურებიან...

1958



ნარიყალასთან

მელანდება:

ცეცხლი ისრის...
და მიგორავს ქვა-ლოდები...
არ ტყდებიან ლომგულები...
— ვიღებთ ციხეს და დაგვნებდი! —
ხმა მომესმის ქონგურიდან —
კიბის,
საბლის,
ქამანდების...

1991



ქართული ცისა და მიწის
ციცქნა ნაჭერი გერჩიოს
“ინდოეთს”,
ჩემო ტარია,
აბა,
ვის გაუხარია
სხვის ჭერქვეშ
სამიდღემჩიოდ.

1992



ცის ქვაბიდან ამორწეულ –
ოქროცურვილ ძაფებს ელვის,
ღამე,
მთვარის მორგვზე ართავს...
და ფიქრით გრძნობს ჩემი ხელი,
შენი ძუძუების ხვაროქალს...

1962



სიმყუდროვიდან გარდმოხვეწილი,
როცა ქარები –
დავთრებს
აურევს,
და მებს და ელვას ღრუბლები შობენ,
მნათთა ნაწერი ცა მაგონებს –
შოპენპაუერს,
წვიმა კი – შოპენს.

1961



ხოლვა

როცა კუბოს დალურსმავენ
და ზედ მიწას მიაყრიან,
მიწყნარდება როცა ელდა,
მაშინ შენი “მოწაფენი”,
ვითარც ქრისტეს –
“კვართსა ზედა”,
შენს ლექსებზე “წილს იყრიან”.

1982



ჰე, მამულო!

კვლავ გძარცვავენ...

და კანონებს ვინდა მისდევს,
ვახტანგის თუ სამურაბის,
მებრძოლს გიზრდი შვილებს ისევ,
გყავდეს დაჩი
და ზურაბი
მეშუბედ და მეშვილდისრედ!

1992



მნათთა მრევლში დამდგარ დამეს,
ხელთ უპყრია –
მთვარის

კვერთხი

და ლოცვების მისტერია,
სანთლები კი წარმართ დმერთებს –
ისევ ისე
მისტირიან...

1989



ჰაუ,

რა ჩქარა გასულა,

წელი,

დღეცა და ღამეცა,

ლოდინით სახე მკრთალები,

მნახა ზღვამ,

მუხლზე დაქცა,

აუწყლიანდა თვალები.

1961



ეგვიპტეში

მიაჭენებდნენ ცხენებს ბავშვები...

(ეპა, ქართველი დედის

ნაშობი,

რამდენი ბიჭი აქ გამხდარა

იანიჩარი),

მე, მომაგონდა ყიზილბაშობა...

და სამშობლოსკენ ისევ ვიჩქარი.

1992



წყლის დასალევად ჩამოსულ ღრუბლებს,
მაღლა,
ზეცისკენ აღარ უშვებენ
ქარები,
ზღვის მკერდიდან აფრენილი,
ნაპირთან აფეთქებული ნუშები –
მოჩანან გაშლილი
აფრებივით.

1990



ერთი კრამიტი,
ჩემს ბებერ ოდას,
ვით ჩატეხილი მოუჩანს ქბილი
და მან არ იცის,
აქ მარტო ივლის
არყოფნა,
ახლა ჩვენს შორის
რომ დგას.

1974



წიწილივით ანატაცი –
წყლის მოთქმა და
წყლის გოდება
ცად ღრუბელმა ვედარ ზიდა,
და მე ახლა ველოდები
ზვირთთა ამოფრენას ზღვიდან.

1967



თუკი ღმერთი დაგივარავს,
გითა რუსთველს,
მარტო შური
ვერას გვიზამს მზის ნაშიერს,
ის არა და შენს სიცოცხლეს,
თვით სიკვდილსაც მოაშებს.

1969



გულგაშლილ მინდვრებს,
 მკერდაბორცვილ ველებს
 ქართლისას,
 მაღალი მთების გვირგვინი ადგას,
 აქ რიწა ბრწყინავს,
 იქ ზღვა ლივლივებს...
 ათი წლის მერე,
 აი,
 ახლა,
 სიკვდილის გარდა,
 გვაქვს ყოველივე?!

1984

მზისა და მთვარის როდინით,
ათასწლეულებს დანაყავს
სიტყვა და...
მიტომ კშეფობდი:

მთას –

მუდამ მზირალს ამაყად,

ცას –

ვარსკვლავებით შეფოთლიდს.

1971



ქარის შრიალა საცრიო გაცრილი,
მწუხარში ირევა აწ
სამუდამოდ:
ნახორი,
ჩალხი და ბზე,
სისხლი სდის...
უდვოლდ და უდანოდ
ზღვისპირ –
ყელგამოდადრულ მზეს.

1961



ცა —

დრუბლების ყომრალ დალალს,
სავარცხლით პვლავ ვარცხნის წვიმის,

და...

ჰეიდია მთას ბილიკი,
როგორც დაწყვეტილი სიმი.

1958



როდესაც ელვა გასტყორცნის ქამანდს,
 ოქროს ფაფრიან ვარსკვლავთა კვიცებს,
 მაშინ სივრცეებს ედებათ ფერი
 მგლისა თუ ქედნის,
 და წუხს ცა –
 ზღვაზე გადაწერილი,
 და თავჩაქინდრულ მთებსა და ქედებს
 დასცეკერის დამე დარდიანი
 და მოწყენილი.

1970



ასე იყო და...

არაფერი არც დღეს

იცვლება,

მზე მზეობს...

მთვარე –

ნათობს ისევე...

ცა არის მათი სახლი და ბინა,

დღე კვლავ მუშაკობს და არ ისვენებს,

დამე –

ვარსკვლავთა სიზმარში წევს

და ტპბილად სძინავს,

· · · · · · · ·

ესაა მხოლოდ ჩვენ რომ ვიცვლებით.

1978



მე გაჟას სისხლის წვეთი გარ

სადაც რუსთველი შობილა,
ის მიწა —
ჩემთვის ღმერთია, —
ძალს მმატებს, როგორც
ანტეოსს,
მე, გაჟას სისხლის წვეთი გარ
და... ნურვინ განმაცალკევოს.

1995



ბილიკი, ვით მეამბოხევ,
ტოვებს მიწას და მიჰყვება
მთის ლურჯ კიდეს,
ხევ-ხუვებთან აღარ იცდის,
კოშკზე ელგას –
ცა დაპიდებს,
ვით მოჭრილ მკლავს
მტრისას ქისტი.

1975



ო, იმ ქვეყნიურ სულთა ყოფნაზე,
დღეები უფრო მხდიან ეჭვიანს,
ფიქრის შარაზე –
მომკლა წანწალმა...
ჩიტმა რომ იცის, იმ გურმეჭვიამ,
ცხოვრება ნეტავ,
ისე მასწავლა.

1981



როგორც ოცნება დაუსაბამო:

“ვამცნო გულისა მე საიდუმლო!
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა.” –
აი,

ამიტომ ყოველ საღამოს,
გხდებით მე და მზე ცის დასავალთან.

1961



როდესაც მთვარემ ბნელში ჩათვლიმა,
ვთქვი:

ფიქრში დამე,

როგორ გათავდა,

მაგრამ იმ წამსვე ცის სიშავიდან,
ერთი ღრუბელი ამოთავთავდა,

მერე ვარსკვლავიც

ამოყვავილდა.

1982



ქარიშხალი არ ისვენებს,
ანგრევს სახლებს,
აქრობს კერებს...
იანვარიც ისევ ხელობს,
და ოებერვალს მიაკერებს –
ზამთრის გრძელ და
თეთრ სახელოს.

1975



პველი სალამური

ფეხზე მდგარი სალამური,
 ჰგავს ციხე-კოშკს
 ცამდე ნაგებს,
 პაწაწინა სარკმლებიდან –
 სევდით მზირალს,
 აღარ უშვებს
 გარეთ დატყვევებულ ჰანგებს.

1971



ჩანგით,
საყდრულ სიმყუდროვეს,
შევემტვრიე ცხრავე კარი,
ჰანგთა მეფე –
ორფეო ვარ,
დღისით –
მზეს ვჭვრებ,
ლამით –
მთვარეს,
ვით საწუთოს ორფეროვანს.

1961



ცეცხლმოღებული შირავი

საუკუნეებს იქით –

სურს რომ გადაიხედოს,
იგრძელებს კისერს...

მე კი მწვავს ალი,

და დრო და ჟამი გადადის ყირას,


როცა შევყურებ სალვადორ დალის,

ცეცხლმოკიდებულ

საბრალო

ჟირაფს.


1967



წელი,

ორმოცხე მეტია,
რაც რომ ეშმაკი მაცდუნებს
და დღეს მოველი ხარების,
მაგრამ ლექსს,
ვით კოშკს ცამცუმის,
ვედარ ვუპოვე კარები.

1994



ჟამს მიმწუხერისას “ფიქრო
გასართველად”,
შავი ზღვისპირას როცა
ჩავივლი
(გარდასულ ჟამზე ფიქრებს ჩვეული),
ზვირთებში მესმის –
მუშგუკრული მამის
ბლავილი,
კივილი დედის –
შვილწართმეულის.

1987



პატარა,

თოვლიან ფერდობზე,
კურდდლის თუ მელის რბის ნაფეხურები,
რომელსაც ბილიკი ძლივს გაუკვალია,
იქვე მიწურიდან –
შავად რომ ამოდის,
თითქოს და ჰეფესტოს სამჭედლოს
ქვამლია.

1962



მზე როცა ჩავა,
 დამეები მზის კვალს მისდევენ
 და როცა დილა ხელებს აუქნევს,
 ცხრა მთას გადავლენ და
 მოკურცხლავენ...
 თეთრით მოსილი დღეები კი, ასე
 ურცხვები,
 ჩვენი სიცოცხლის დიდ წიგნს
 ფურცლავენ
 მანამდის,
 სანამ ბოლომდე არ
 დაიფურცლება...

1978



მოხუცი მწყემსის სალამურივით,
სავსეა გული ოქრონარევ
დზით და გალობით,
სიხარულის ზღვა მიდგას თვალებში,
მაგრამ რად მინდა ბედნიერება,
უფალო,
შენთან ყოფნის
გარეშე.

1989



ზამთრის წუხილით ფერწასულები,
ოუ სურნელოვან მზით და
აპრილით –
მთვრალი დღეები სადღაც მიდიან...
და... ჩვენი ყოფნა –
არის მშეოთი ზღვის ზედაპირი,
არყოფნა –
ფსკერი,
სად მარადის
სიმშვიდეა.

1966



როგორც მიქალაჯელო

არარაობის კართან ვცემ ბოლთას
და სიცოცხლეა ჩემთვის
სასჯელი –
ჩუმი და მორცხვი,
მეტ,
ისე, როგორც მიქელანჯელო,
“სიკვდილით ვცოცხლობ!”

1994



სანაპიროზე შავითმოსილი,
 ზღვაში დამხრჩალთა დედებივით
 ისხდნენ ლოდები,
 ჩანდა მიდამო დამეწყრილი და
 წალეკილი,
 და მაინც ერთი
 პატარა ტალღა
 ძლიერს ამობობდა ნაპირზე მაღლა
 და,
 მე გამიწვა ფეხთან ლეკვივით.

1971



სადღაც,

ხევს მიღმა ისმის “მთიბლური”

(ალბათ ოსირისს უმდევს ისიდა...)

და მერე გვიან მთამ,

ვით სპარსული

თავი,

ამოჰყო რძიან ნისლიდან –

გადაპარსული.

1959



უჯარმაში

ვახტანგის ხმა მესმა ქონგურზე
უჯარმის
და სპარსის –
წიგილი ისრისა,
ნისლის ფთილა კი, ვითარცა გუჯარი,
ამოეფარა უეცრად სათოფურს,
თითქოს და ციხეგმ
თვალი მოისრისა.

1976



საუკუნეთა ნაპირს ასკდება
და ჩემს ბობოქარ მკერდზე
ხმიანებს,
ზვირთთა კი არა,
ფიქრთა ზვინები,
ქარს მინდობილი ვარ ოკეანე,
თვალებში დედამიწა –
ჩამშტერებია დაუინებით.

1979



მთაწმინდა

“აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს
სძინავს მგვურ ძილით...”

გალაბიონი

სიკვდილზე დამხობილები –
წარსულში წვანან ლოდები.
იქ სძინავს პაპის –
პაპასაც,
მე, დღეებს ვურტყამ ნაფაზად,
მივალ...
მათ ვუახლოვდები.

1988



ბამოსათხოვარი

მშობლიურ მიწას –

ათასწლოვან ფესვს გუკოცნიდი,
მაგრამ მარადის ზეცა იყო ჩემი იმედი,
მათ შუა პარალელს,

ვით ოქროს კვეთს

მუდამ გავლებდი:

ქართლის ცის ლაქვარდს სულ მიწიდან
შევციცინებდი,
აწ ქართულ მიწას მსურს რომ ციდან
ვუთვალთვალებდე.

1997



აიეტის ზღაპრულ კოლხეთს –
მტრობისა და სიძულვილის
გველეშაპი მისწოდია...
მათ იციან: იქ იწყება –
საქართველოს ისტორია.

1992



ნაბერევები პნოსოსის

კარი პრეისტორიის –
ვერ იქნა,
ვერ მოვხურგ,
ნანგრევებში კნოსის* ვეძებ
თიხის ფირფიტებს,
სად სახელი კოლხური –
აწერია ლურსმულით
და ბევრი საიდუმლო –
არის შიგ გალურსული.

1964

* კნოსოსის – სამეფო, ძ.წ.-აღ. მესამე ათასწლეული



ქრისტეს პგართი ჩავაცვი

მონა ვიყავ ყოველთვის
 სინდისის და ნამუსის,
 მიტომ მოველ აქამდე,
 ბევრჭირგადანახადი,
 ჩემს ფიქრებში ვარსკვლავი
 კიდევ ბევრი ჩავა ცის,
 მე, ჩემს კოლხეთს სამოსი –
 წარმართობის გავხადე
 და უფლის მოქსოვილი –
 ქრისტეს კვართი ჩავაცვი.


1968



მთვარის ორჩუღი

ზესკნელიდან რომ რექავს სინათლეს,
ორეულია მთვარე –
მნათესი,
და მირიადი წელი გავიდა –
ღამე ცას გლოვობს,
ვარსკვლავების ძვლებით
დათესილს.

1959



ზღაპარი და ში – ძონია

ვით ავთანდილს “ბედის ქცევის”
მეშინოდა და
გულმშვიდად,
არასოდეს მიძინია,
კოლხეთი კი ჩემთვის იყო –
ზღაპარი და...
ში – ძონია.*

1968

* ში – ძონია – – ჩინური ლექსებისა და სიმღერების
წიგნი (XII-V სს. ძვ. წ.აღ)



ვითარც პატარა ბალდის საცვლები,
ქარმა ქათქათა
ღრუბლის ფთილები,
ელგის სველ თოკზე უცებ გაკიდა,
მერე სიშორით ანატირები –
ბაგშვის ხმა მესმა
მოვარის აკვნიდან.

1958



მტკვარი

გულს რომ უდაგავს ტრფობა ფარული,
 უუძველესი მიწის –
 იბერის,

არსიანიდან გამოპარული,
 თბილისს შემოდის მტკვარი სიმღერით,
 მეტეხთან კლდეებს დაყრდნობილები –
 სახლები გულს და
 ფანჯრებს აღებენ
 და მისი ნახვის ახრჩობთ წყურვილი,
 ის ორთაჭალის ლამაზ ბაღებთან
 მიდის,
 მიარწევს ტანს ქალწულივით.

1960



მთვარე

შორეულ ზღვიდან მოსული,
ხან წვიმაა და
ხან ქარი –
დედამშობელი დვარცოფის,
გაჟყურებს მთვარე –
სარქალი,
ცას, –
ვარსკვლავებით გაცოხნილს.

1956



მაპროცეს და მაპრისელებს

ეგეოსის ზღვის არქიპელაგიდან –

ჩემი შორეული

წინაპრების,

შორეული ხმები მაკისრებენ,

რომ არგოსში და

ერეხეთში –

გეძებდე მაკრონებს* და მაკრისელებს**.

1972

* , ** კოლხები (ქართველები) ტომები.



ქვეით! —

სივრცეს უხმოდ გავძახი,

ხმა არსაიდან...

დუმან ქედები,

დამის იქით კი —

დღის ჩანს სასახლე,

ვჭვრებ: მთვარის ჭაში,

როს გიხედები.

1960



უზაგელასი პოლხეთი

უძლებს მტრების და “მოყვრის”
ისრებს,
მდგარი ზღვისკარად,
და მადლს სწირავს მაცხოვარს
მოთმინებით –
იობის,
ბიბლიური კოლხეთი,
სადაც კაცობრიობის –
მზე და მთვარე აღმოხდა
და აკვანი დაირწა.

1968



ზღვისკარად მწუხრი ჩამოდგა წყნარი
და მიინავლა ზვირთების
გლოვა,
მერე გაიღო ცის ცხრავე კარი,
ცივი სიშორის დაიწყო
თოვა...
და ვნახე: გაძვალტყავებულ მთვარეს,
ვით შეესია ვარსკვლავთა
ხროვა.

1960



სამებრელოს მეცნიერებელთა

დალაშვილა

ზოგ-ზოგებს რა ეშველებათ,
ხსენება რომ ზარავთ მეგრის,
მე ქვეყანას მირჩევნია,
ჩემი ეზო,
ჩემი კუთხე,
მიტომაა “ძმისგან” ნაცემს
მე, ჩემს ეგრისს,
ვითარცა მკვდარს, დამეს ვუთევ.

1993



სარჩევი

შესავალის მაგიერ.....	5
ფაცხა მეგრული	25
*** საიდანდაც მოვარდნილი	26
*** ვინც ამიოხრა მამული	27
ესებუას გახსენება	28
*** მეხის ძახილმა	29
ედიტ პიაფი	30
მაინც	31
სიყვარული	32
*** მარგალიტებით საგსე	33
ანაკლიის ღამე	34
ჭიუხებს ეხებს	35
*** ჩემს ცაზე აღარ	36
*** არაბებივით შავი	37
თებერვლის ღამე	38
*** გადაუშლიათ ცისკრის	39
ქილილა და დამანა	40
*** ნიავს რომ მიაქვს, იმ	41
*** ბედია თუ ბედისწერა	42
*** წვიმის პატარა კაცუნები	43

*** გარდასულ საუკუნეთა	44
*** ა, ეს მგლისმუხლა ბილიკი	45
*** ცხრა ზღვის მიღმა	46
*** ქართულ შტოზე ანაცერი	47
*** იყო ტალღების სჯა და	48
*** მთაწმინდას უნდა	49
*** ეს პატაწინა ტალღები	50
*** ვითარცა ადრე	51
*** ტალღები ზღვის შვილებია	52
*** ვითარცა ჟამს	53
*** ქარიშხლის ფრთებით	54
ქინქლა	55
*** მიუშვა კვამლის აღვირი	56
*** მოულოდნელად	57
*** მე	58
ფესვები	59
*** ზღვა ხმელეთს ჩუმად	60
*** შორით თუ ახლო	61
*** შენი სიცოცხლის შუქით	62
მტერთა ჩვენთა გასაგონად	63
*** დასალიერთან გამოჩნდა	64
*** როდესაც ვუსმენ რაველს	65
*** გადავიწყების მსმენია მუქარა	66

*** ამაყად თავაწეულებს	67
*** მიწა დედური	68
*** ქართული სიტყვის დამყნობელს	69
*** თვალებთან თითო ვერ	70
შემოდგომის წვიმები	71
*** ტანაშოლტილი ხეები	72
აქ მეტეთან	73
*** დუმილის ფოთლები	74
*** ქარზე ამხედრებულ	75
გულნარა	76
მარაბდა – 1625	77
*** დამეს მხრებზე ვარსკვლავები	78
ზღვა ქარიშხლის შემდეგ	79
*** აღმოსავლეთით მიედინება	80
*** ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე	81
*** ცამ ჯერ ელვა გაიღიმა	82
*** მზე როდესაც შავეთს	83
ილაბუზი და მყინვარი	84
*** ხეთა კენწეროებზე	85
*** ათასწლეულთა ნისლით	86
ამმაინა	87
*** მნათოთა ქოხებში იჭვრიტებიან	88
*** კრწანისისა და ორთაჭალის	89

*** არა	90
*** ვარსკვლავებს ცაში ეძინათ	91
შური	92
სამშვილდე	93
*** მოვარდა და უცებ ელგამ	94
ორი ტალღა	95
*** ქართლის დედის ვისმენ	96
ღამეული ფიქრები	97
*** ასე ყოფილა	98
*** ზღვა ხმელეთს ვერ მოერია	99
*** მოვა უამი და მოულოდნელად	100
*** ო როგორ ებრძვის ყოფნას	101
*** თბილისს რომ მიუალერსოს	102
*** მტერი კი არა	103
*** ენგურის მხრებზე გადმომდგარ	104
*** ისტორიებში თვალს რომ	105
*** ზღვის კარად მზით გაჩენილი	106
ორი ნაყოფი	107
*** მიუხედავად ამინდის	108
სამშობლოს ხსნის გზა	109
სიკვდილი	110
*** არყოფნის ფართო	111
*** ბოლოს მაინც უფალი	112

ნიაგი	113
*** როცა იქუხებს	114
ისევ სამეგრელოს დალაშქვრა	115
*** სადღაც მომავლის ხარობს	116
დოფაჩილი	117
*** ვეღარ გავუძელი სიზმრებს	118
*** ბეგრჯერ გადაგილახავს	119
*** მოვარე ღრუბლების თეთრი	120
რაჭაში	121
*** გადმომდგარი ცის კოშკიდან	122
მთიბავის სიკვდილი	123
*** ცეცხლსა და ცრემლის მოესველ ..	124
*** ვუახლოვდებით თბილისს	125
*** გარდასული დღეთა ტანჯვა	126
ხერთვისის და ციხე იმოგვის	127
*** ქარს სურს ღრუბლებში	128
*** დღისა და დამის მხრებს	129
*** ადრე სხვა იყო...	130
1 9 9 1	131
*** ოჯახი გაუყვიათ და...	132
*** მიმოაბნია ზეცამ ზეფირი	133
*** გასწორებია გადაშენებით	134
1 9 9 5	135

*** სხვისთვის არ ვიცი	136
*** შორით მოსული პატარა	137
*** სადღაც სინათლის	138
ჯაჭვი	139
*** განა დღეები და დამეები	140
*** ვერ შევაჩერე ჟამთა დინება	141
*** მოფუთფუთე ფიქრთა	142
*** რომ გაიგოს ცამ და მიწამ	143
*** პონტოს ზღვიდან ისევ	144
*** ცა არწევს დამის ლურჯ	145
არგოს გამოჩენა	146
ათასი წლის მერე	147
*** ზღვა ისევ ღელავს...	148
*** რკინის მკვნეტავ და	149
*** შიშით გასანთლულ	150
წინაპართა დიდ ნაბოძვარს	151
*** ღრუბლები შორს მიფრინავენ	152
*** ვით წინასწარმეტყველს და	153
*** ვაჟა ვარ და...	154
ახალი 1992 წლის	155
*** გალობათა ციხე-კოშკი	156
*** გადაუყინავს ათასწლეულებს	157
რაჭა-ლეჩხეუმი	158

თუშეთი	159
*** შენი ცა წამით რომ	160
*** არა ჩანს ცოტნე... *** უზარმაზარ ცის მინდორზე	161
გაგრას დაცემა	162
*** ცას	163
*** ხორგაში ვარ...	164
*** ცხოვრება თუ ბრძოლა	165
კამენა და კალიოპე	166
*** ცის დასავალზე იდგა	167
*** მიირთმევ ღვინოს	168
*** აღმოსავლიდან ვიდრე	169
ქალაქი კამბეჩისანი	170
*** მწუხარმა მნათთა	171
დავითფერული	172
*** ათას ქარიშხალთან	173
*** ავთანდილის ისრის ნატყორცნ	174
*** გაფენილი კიდით-კიდე	175
*** სკილას და ქარიბდას	176
*** ო, როგორ მიყვარს	177
*** ფუღურო ხე	178
*** აღარ ჩანდა გარიურაჟი	179
ჰერკულესის სვეტები	180
	181

*** როს მომივლენს დმერთი	182
ისევ დიდგორი	183
ნახევარმთვარე	184
*** ვარსკვლავებს შორის	185
*** დამეს ახურავს მზის	186
ოპტიმიზმი	187
ეპა ქართველნო	188
ვახმე ქართველნო	189
ვარსკვლავები	190
ნარიყალასთან	191
*** ქართული ცისა და	192
*** ცის ქვაბიდან ამორწეულ	193
*** სიმყუდროვიდან	194
ხილვა	195
*** ჰე, მამულო!	196
*** მნათოა მრევლში დამდგარ	197
*** ჰაუ	198
ეგვიპტეში	199
*** წყლის დასალევად	200
*** ერთი კრამიტი	201
*** წიწილივით ანატაცი	202
*** თუკი დმერთი	203
*** გულგაშლილ მინდვრებს	204

*** მზისა და მთვარის	205
*** ქარის შრიალა საცრით	206
*** ცა	207
*** როდესაც ელვა	208
*** ასე იყო და...	209
მე ვაჟას სისხლის წვეთი	210
*** ბილიკი ვით მეამბოხე	211
*** ო, იმქვეყნიურ სულთა	212
*** როგორც ოცნება დაუსაბამო:	213
*** როდესაც მთვარემ ბნელში	214
*** ქარიშხალი არ ისვენებს	215
ძველი სალამური	216
*** ჩანგით	217
ცეცხლმოდებული ქირაფი	218
*** წელი	219
*** უამს მიმწუხრისას	220
*** პატარა	221
*** მზე როცა ჩაგა	222
*** მოხუცი მწყემსის	223
*** ზამთრის წუხილით	224
როგორც მიქელანჯელო	225
*** სანაპიროზე შავითმოსილი	226
*** სადღაც	227

უჯარმაში	228
*** საუკუნეთა ნაპირს	229
მთაწმინდა	230
გამოსათხოვარი	231
*** აიეტის ზღაპრულ	232
ნანგრევები კნოსონის	233
ქრისტეს კვართი ჩავაცვი	234
მთვარის ორეული	235
ზღაპარი და ში – ძინია	236
*** ვითარც პატარა ბალდის	237
მტკვარი	238
მთვარე	239
მაკრონებს და მაკრისელებს	240
*** ეპეი!	241
უუძველესი კოლხეთი	242
*** ზღვისკარად მწუხრი	243
სამეგრელოს მეხუთე	244

ვაჟა ებრისელი

გოლური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 34

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 34

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ნათია ჯგუშია |
| მხატვარი | – საართად ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – ლარეჯან ბგალია |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა ჭა დათო ყადეაშვილები |
| გამომცემელი | – ვაჟა დოლგაია |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „ენივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანი ქ. N4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com